

მწყემსის

სკლამური



№ 1 სალიტერატურო ალმანახი

სხვა და სხვა მიზეზების გამო დღეიდან ჩვენი ჟურნალი ალმანახის სახით გამოვა.

მ ა ს უ ხ ი

(თეოლოგიური)

ოცნების სიო, ზეციერო, სიო დაგვარავს,
 დაცრცეს ჰაერი შენს სიტურფეს, ვით ფერფლს უაზროს,
 ჰაერში მფრენავს ვინ გეწვევა, ვინ რას მოგპარავს,
 შენი მანდილი ქარს ეკუთვნის, ქარი გააქრობს!..


აჰ ვით მიცნო, ვით შეიგნო, ვინ ვარ, ვის ვეტრფი,
 შე ქიყნად ვიწვი, თვით ცხოვრების გულ-ხლვა წიაღში.
 შენ კი მანდ ცაში დაიბადე ზეფირს, დაერთვი,
 რა გვაქვს საერთო?... დროს ატარებ უგზო ტრიალში!..

შე აქ, აქ ვდგვიარ და გულით გვრძნობ, რას ფიქრობს მიწა,
 ტალღათა დღეღას ლეროდება ჩემი ხმაც, კენესა,
 შენი კრწმლები წყილულს ვერ მოგებანს, საზრდოა მზისა,
 ქვეყანას ტანჯულს ვერ მოუსმენს... ყრუა, ყრუ ზეცა!..

ბუნება-ღედა, აქ ამ ქიყნად დაბადებულა,
 მეც მან დაშბადა, მას ვეკუთვნი სულის თანაბრად,
 აქ სუფევს ძალა, ც-ც მის მყერდზე დამყარებულა,
 სუფევს სიკაცხლე-ტალღათ სრბოლა, მარად, სულ, მარად!..

და ამ საწყაროს შენ ვერ იცნობ, არც გრძნობ რა არის,
 შენი ფარფატი რას მოგვიტანს?—უკვლოდ გაქტრება!..
 —შე კი ცხოვრებამ, დაე, მტყორცნოს ტალღა მთა-ბარის,
 ჩემს ნამოქმედარს—არ მოკვდება—იტყვის ბუნება!..

მძღა.



მოლოდინში

(მრავალთავან, მრავალი ამბავი).

I.

სულ რაღაც ოთხიოდ თვე გავიდა, რაც პეტრე ბინდურაძემ შეირთო ახალგაზრდა, ლამაზი ვეროჩკა. ორი თვე მგზავრობაში გაატარეს ახალგაზრდებმა (თუმცა უნდა ვსთქვათ, რომ პეტრე ვერ იყო მაინც და მაინც ახალგაზრდა, ის იქნებოდა ასე 47 წლის) დასტკბენ ერთმანეთის სიყვარულით და შემდეგ დაბრუნდნენ ქ. ბაქოში სადაც პეტრეს ექირა კაი მსხვილი ადგილი ერთ ერთ სახელმწიფო დაწესებულებაში. ამ დღიდან ორივე კოლქმარი ჩაება ოჯახურ ცხოვრებაში. მეორე ორი თვეც შეუმჩნევლად გავიდა, ერთმანეთის აღერისი და ხვევნა კონცის მეტი არაფერი ასხოვდათ ახალგაზრდებს. ოთხი თვის შემდეგ, როგორც იციან საზოგადოთ ყველა ახალგაზრდობილებმა, ვეროჩკამ მოიწადინა თავის დედ-მამის ნახვა. საყვარელი ქმარი აბა რას დაუშლიდა. მოამზადა, გააცილა, სადგურზე, გამოთხოვების ხანს მაგრათ ჩაჰკოცნა და ჩქარ მატარებელს პეტერბურგისკენ გაატანა. ვეროჩკას დედმაპა პეტერბურგში სცხოვრობდა.

ვეროჩკამ ერთი თვე დაჰყო პეტერბურგში. ერთ მშვენიერ კლას პეტრემ დეპეშა მიიღო: „28-ს მანდ ვიქნები, სადგურზე დამხვდი“. პეტრეს სიხარულით გული კინაღამ წაუფრდა. ის ერთი კვირით შეუდგა მზადებას. ყოველ მოგონებაზე, რომ ვეროჩკას ნახავდა გული საშინლათ უფრთხილდებდა. ვეღარ ისვენებდა საბრალო პეტრე მთლათ ოცნებათ გარდაქცევა. სადილს შემდეგ რაც ახლოვდებოდა ვეროჩკას მოსვლის დრო მად სულ წაერთო სადილს ვეღარ სქამდა) წამოწებოდა პეტრე, დახუჭავდა თვალებს და ეძღოდა ოცნებებს. აი წარმოიდგინა პეტრე ვეროჩკას მოსვლის დღეც დადგა. ის დილიდანვე შეუდგა მზადებას. იქნებოდა საღამოს ექვსი საათი გაემგზავრა სადგურისკენ. სადგურზე მრავლათ ირევა ხალხი. პეტრე რეტიანივით დადის. არავის არ ელაპარაკება. წუთებს ითვლის, სულ რაღაც ოცი წუთიღა დარჩა და მატარებელიც მოადგება სადგურს. პეტრე ერთ ადგილს გაქვავდა. აი გამოჩნდა კიდევ მატარებელი. დაუსტვინა. ეს სტეენა ზარვით მოხვდა პეტრეს გულში. გული საშინლათ უფრთხილდებ, ხელს იჭერს, ეშინია ბუდიდან არ გადმოვარდეს. აი მის წინ გაისრიალა ერთმა ვაგონმა. პეტრე სარკმელს აშტერდებოდა. ერთი, ორი, სამი... ვეროჩკა! იღიმება. პეტრეს სუნთქვა შეეჩუთა, ფეხზე ძლივს სდგას. ვეროჩკამ ის დაინახა, სი-

ხარულით გაულიმა. კიდევ რამდენიმე წუთი და პეტრემ გულში ჩაიკრა საყვარელი კოლი.

— ანგელოზია! ანგელოზი ჩემი ვეროჩკა— ამბობდა პეტრე. მე ვიცი ეხლა ის უზომოთ იტანჯება, ჩემი ერთი ნახვა მთელ სიცოცხლეს ურჩევნია, მაგრამ რა ქნას, როდესაც დედამისი წინაშე მოკალეობა ხელს უშლის. ნამდვილი ანგელოზია. მე დარწმუნებული ვარ, რომ ის თავის დღეში გულში არ გაივილებს ჩემს დალატს, აზრითაც კი არ მიღალატებს. ის არა ჰგავს ჩვეულებრივ დედამკაცს. მისთვის ჩემს გარეშე არ არსებობს არავითარი ვასართობი, ის ჩემში ხედავს სიცოცხლეს და ბედნიერებას. მე დარწმუნებული ვარ ეხლა ის პეტერბურგის პობოქარ ცხოვრებასთან შორს სდგას, ზის თავის დედმამასთან და ჩემის ნახვით ოცნებობს. ამას აბტკიცებენ მისი აღფრთოვანებული წერილები. საყვარელი ვეროჩკა! ჩემი გულიც მარტო შენთვის სდგერს. შენში განხორციელებულია მთელი ჩემი სიცოცხლე. მოგვლი: რომ ჩაიკრა გულში, დავსტკბე შენის სიყვარულით. ახლოვდება ის წუთი, როცა ჩავხედავ შენს ზღვა თვალებში და იქ ამოვიკითხავ სიყვარულის ძიფით აქარგულ საოცნებო ზღაპრებს.

ვეროჩკას მოსვლის დღე ახლოვდებოდა და პეტრეც გულის ფანქვალით ელოდა მას.

II.

მატარებელი გამალბებული მოქრის. ხანგრძლივ მგზავრობის გამო დაღლილს დაქანცული მგზავრები ზოგი ფიქრს მისცემია, და ზოგიც დაღვრემილი სარკმელს გაჰყურებს. ვეროჩკა მარტოთ მარტო ზის მეორე კლასის ვაგონში. მის ახლო ნაცნობი არავინ არის. ის ფიქრებს გაუტაცნია. ხანდისხან ის თვალს გადაავლებს იქვე ახლოს მჯდომ ლამაზი სახის ახალგაზრდას. აგონდება თითქოს სადღაც ენახოს, თითქოს ნაცნობი იყოს. გულით უნდა გამოეღაპარაკოს, მაგრამ ვერ ბედავს. ახალგაზრდა თვალს არ აშორებს.

— ჩვენ მგონია უნდა ვიცნობდეთ ერთმანეთს — წარმოსთქვა ახალგაზრდამ და ახლოს დაუჯდა. — ირაკლი გოგირდაშვილი.

— დღათ სასიამოვნოა — გრძობით წარმოსთქვა ვეროჩკამ და სიხარულით გული აუტოკდა, რომ სურვილი ასე ჩქარა შეუსრულდა.

გამართა ბაასი. გამოირკვა რომ ორნივე პეტერბურგში სცხოვრობდნენ და ხშირათ ხვდებოდნენ ერთმანეთს. ირაკლი ისიც არ დაუშვალა რომ ძლიერ მოსწონდა და უნდოდა მისი გაცნობა, ვეროჩკა ძლიერ გამხიარულდა. ცოტა ხნის განმელობაში

ძალიან დაუახლოვდნ ერთმანეთს. ვეროჩკამ უამბო თავის გულის ნაღები.

— საით, შიბრძანდებით?

— ბაქოში. იქ ქმარი მელიოდება, კეთილ-მორ-მორწმუნე ქმარი, რაზეღთან არავითარი სულიერი კავშირი არა მაქვს. ასეთია ცხოვრება ყველაფერი შენი სურვილების წინააღმდეგ ხდება. რომ იცოდეს ჩემმა ქმარმა, როგორ მიყვარს ის თავს ჩამოიხრჩობდა.

— ეგ არაფერი. შეგიძლია ქმარი არ გიყვარდეს და სხვა შეიყვარო.

— ეგ შეუძლებელია. მეერ ქმრიან ქალებს ისე როდი ეტანებიან მამაკაცები.

— წინააღმდეგ მე მაგალითათ თვალ-დახუჭული შეგიერთავდით ეხლა, ქმარი რომ დასტოვოთ. ამგვარი მუსიკით ისინი ძალიან დაუახლოვდნ ერთმანეთს.

მატარებელი როსტოვის სადგურზე გაჩერდა. ვეროჩკა და ირაკლიც ანგარიშ მიუცემლათ წამოდგენ, გამოვიდნ ვაგონიდან და სასტუმროსკენ გასწიეს.

მესამე დღეს მატარებელი ისევ მიაქროლებდა ვეროჩკას ბაქოსკენ.

— ჩემო სიხარულო, ჩემო ისელო, ჩემო ანგელოზო!—ამ სიტყვებით შეხვდა პეტრე თავის საყვარელ ერთგულ ჩვეულდეს, როცა მატარებელი ბაქოს სადგურს მიაღწა და სიხარულით ატაცებული ვეროჩკა ყელზე ჩამოკეცა და ლოდინისგან თვალეზ გამოღამებულ პეტრეს.

სიცილ-ისკისით და მუსიკით ორივე ეტლში ჩასხდნ და სრულათ ბედნიერნი სახლიკენ გაექანნ.

ახალი მწერალი.

ტკბილი წამალი

(სურათი).

სამუშაოდან დაბრუნებული მოდის დათიკო და მოაქვს თოხი, აი, შორიდგან უკვე გამოჩნდა ნაცნობი ეზო, წახრილი ქოხი!

ქოხში ყავს ცოლი, პაწია შვილი; მათთან ალერსი მუშას სწყურია, როცა მათ უმზერს, სულ ავიწყდება, რითაც კი ბედის უმადურია...

კრული ცხოვრება, წამების დღენი მიაცილებენ ცხოვრების გერსა, რომ ბოლოს დაჩნეს, როგორც პარტახი, იგი შავს სიკვდილს, სიცილის მტერსა.

და რისთვის გაჩნდა? რისთვის-ღა წვალობს! ბრაზი ერევა მას ამ კითხვებზე, თანაც უპოვარ შურის ძიების აზრით მხედრდება ცხოვრების მტრებზე.

მაგრამ ეს ფიქრი მას გულს უწყალეებს: ნდომის ადგილზე, სედა შლის ფრთასა: ვინ გადალახავს ცხოვრების ვაზზე ზღუდით აღმართულს სიბნელის მთასა?!

წყეული ფიქრი! დაჩაგრულს გულში ნება არ მისცა წუთიერს ოხსა და მუშაც ისევ ოცნების ფრთებით თავს შემოველო საკუთარ ქოხსა.

კარზე მიაღწა ..—პაწია ჩვენი“, მოუთხრობს ცოლი და თან კანკალებს: „ავათ ვაგვიხდა... სულ მოუსვენრობს... სტირის... დასუსტდა... ვაი ჩემს თვალებს!“

თანაც ჩამოდნარს, ჩეგათ ქვეულ ძუძუს ხელით აცეცებს პაწიას ტუჩებს, მაგრამ ძუძუში რძეც რომ გამშრალა, მტირალ ბეჭებს აბა, რა დააყურებს...

—„ფული რომ მქონდეს, ექიმს მოვიყვან“..

—„კესასთან წადი! თან ცოტა ფქვილი წაიღე, სთხოვე, რომ შეგვიმზადოს ავამეოფისთვის—წამალი ტკბილი“

...და პაწიას ტკბილი წამალი მიადებინეს იმავ ღამეს...

მესამე დღეზე დათას ეზოდგან პატარა კუბო გადმოიტანეს...

ნ. ზომლეთელი.

პატარა ფელეტონი

ხელოვნება ქრება.

(მოქმედება ქართულ თეატრის დარბაზში სწარმოებს. სცენაზე სხედან დრამატიული ხელოვნების მამათმთავარნი. დოინჯ შემოყრილი გაპყურებენ ცარიელ დარბაზს. რამდენიმე ხნის შემდეგ დარბაზში შემოდინ დრამატიულ საზოგადოების წევრნი, რიცხვით რვა ნახევარი კაცი. მათ შემოპყვება რამდენიმე არა წვერი და იმედით გაბრწყინებულნი მამათმთავარნი კრებას ხსნიან).

თავჯდ. (მეტათ კეთილი და გრძობის პატრონი კაცი. ცოტა მკვახე სიტყვა, რომ წამოსცდეს მანინე თვალეზი აეცემლდება). ბატონებო! ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს როცა ვხედავ გაქედილ დარბაზს. ჩვენი თეატრის ცხოვრების მატთანეში ეს ეს პირველი მაგალითია, რომ დრამატიულ საზოგადოების კრებას რვა ნახევარი წვერი

ესწრება. გესმით? რვა ნახევარი. ასეთი დიდი კრება ჯერ არ მომხდარა. ჩემთვის მით უფრო სასიხარულოა ეს მოვლენა, რომ ეს აშკარათ ამტიკებს თუ როგორ თანდათან ილივებებს ჩვენი საზოგადოების გულოში ჩვენი თეატრისადმი სიყვარული. ექვი არაა, ჩვენმა საზოგადოებამ შეიგნო თეატრის მნიშვნელობა. ბატონებო! ეგზომ სასიხარულო ამბისთვის გრცხადებთ ჩემს უღრმეს მადლობას (თვალები აცრემლებს). წამოდგება და მდებლათ თავს უკრავს ყველას. დაბაზში მქუხარც ტაშის ხმა გაისმის). ეხლა ბატონებო, შევედგეთ კითხვების განხილვას. განსახილველია სამი, ფრიალ მნიშვნელოვანი, საკითხი: 1) ვინ უნდა იკისროს ჩვენი თეატრის ანტერპრიზა მომავალ სეზონში 2) არტისტების გაგზავნა რუსეთში კურსებზე და პრემიების დანიშვნა. გთხოვთ ილაპარაკოთ (დაჯდება, დაბაზში ხმაურობა ასტყდება. ყველანი წამოცვივიან და თითებს იშვებენ, ერთი მეორეს აღარ აცლიან ლაპარაკს. ილიას და ვაზუნის ჩხუბი მოუვით. ილია თავში ჩააფარებს ვაზუნის და სკამ ქვეშ ჩააძვრენს. თავმჯდომარე გამუდმებით ზარს ტყს).

თავმჯ. (კრემლები ჩამოსდის) სიხარულით აფართხალებული ჩემი გული სევდის ისრით განიგმირა. რამდენათ სასიხარულო იყო თქვენი აქ მობრძანება, იმდენათ სამწუხაროა თქვენი ყურება. აბა ეს რასა ჰგავს? ამოიყვანეთ ვაზუნია, ცოლი არის! (დღის ვი ვაგლახის და ძებნის შემდეგ ვაზუნისა იპოვინან და სკამზე დასვავენ).

ხმებო აქეთ ჩქადან. ჩვენ აქ, ჩვენ სახლში ვართ, ეს ჩვენი თეატრი არის, აქ ყველაფერი შეგვიძლია ვქნათ.

თავმჯ. ეგ მართალია, ბატონებო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში კრების ეთიკა არ უნდა დაარღვიოთ. ყვირილი შეიძლება, მხოლოდ ერთმანეთს ნუ სტყვით. (მიუბრუნდება მის გვერდზე მჯდომს) აბა ბრძანეთ!

ნაკო. ბატონებო! ძლიერ საწყენათ მაქვს, რომ ანტერპრიზის შესახებ დაისვა საკითხი. გავნა ექვს ვარეშეა, რომ დრამატულ საზოგადოების გამგეობისთან ვერავინ წაიყვანს ჩვენი თეატრის საქმეს? მთელი წლის განმავლობაში დაუღალავათ ვმუშაობთ. დღეიკიტი გავზარდეთ, არტისტები, „შვიდეულის“ აღებას შევძენით, რეპერტუარში „ყარამანდანი“ და „თამარ ბატონიშვილი“ შევიტანეთ. თეატრი აყვავავეთ. სხვა რა გინდათ? მე მოვითხოვ სასტრუქათ, არავინ გაბედოს და კრინტი არ დასძრას ანტერპრიზის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები ფიზიკურ ძალას მივმართო (დაჯდება აღელვებული).

თავმჯ. (თვალებში შესტქერის) ნუ აღელდებით, ბატონო ნაკო, თორემ კრემლებს ვეღარ შევიმაგრებ. დალიეთ წყალი! (მიუბრუნდება ჭეორეს). აბა ბრძანეთ!

შალვა. აღარ გავიგეობრბ იმას, რაც ნაკომ სთქვა. ვიტყვი მხოლოდ. რომ ჩვენი მიზანი იყო ქართული თეატრის აყვავება და აყვავილეთ კიდევ მეც მოვითხოვ ანტერპრიზის შესახებ არვინ კრინტი არ დასძრას, თორემ მეც იძულებული ვიქნები ფიზიკურ ძალას მივმართო. (დაჯდება. ცოტათი აღელვებულია).

თავმჯ. (შალვას თავზე ხელს გადუსვამს და და გრძნობით შუბლზე აკოცებს) ბატონებო! მე მგონია ეს კითხვა გამორკვეულია, საქირო კერქი ვუყაროთ. გთხოვთ მიპასუხოთ ვინ იკისროს ანტერპრიზა?

ხმები. გამეობამ! გამეობამ!
თავმჯ. (იორდანოვს) თქვენ რა აზრისა ხართ?
იორდ. (ღრმათ ჩაფიქრდება) მე... არც აქეთ, არც იქეთ.

თავმჯ. ვერ გავიგე.
იორდ. გამეობა არ მინდა.
თავმჯ. მაშ კერძო პირს გარდაეცეს?
იორდ. არა.

თავმჯ. მაშ არტისტებს?
იორდ. არა.
თავმჯ. (გულომოსული) მაშ ვინ ჯანდაბას?
იორდ. (ცოტა ფიქრის შემდეგ) ვიფიქრებ და მეერ გეტყვით.

თავმჯ. სად უნდა იფიქროთ?
იორდ. წავალ სახლში და ვიფიქრებ ამდღამ.
თავმჯ. დღამდ ექ უნდა ვიცადლოთ?
იორდ. დღაცადლო. დღლის სამ საათზე აქ გაეჩნდები. (ჩაფიქრდება) ისე... მე რომ ვიკისრებ ეე ანტერპრიზას ქართული თეატრის ჩარხი წაღმა დატრიალდება, მაგრამ (ჩაფიქრდება) მე არ ვიკისრებ.

თავმჯ. დაბრძანდით. ეხლა ბატონებო უნდა განვიხილოთ საკითხი არტისტების გაგზავნის და პრემიების დანიშვნის შესახებ. აბა, ბატონო, ილია ილაპარაკეთ.

ილია. მე სასტიკი წინააღმდეგი ვარ რუსეთში გაიგზავნოს ჩვენი არტისტები. წარმოიდგინეთ, ბატონებო, ჩვენმა არტისტებმა სრულიად ქართული არ იციან, რუსეთში რომ წავიდნ ხომ სულ ყველანი გადაგვირინენ? ხომ სულ დაავიწყდათ ქართული? ხომ დავილუბენ? აბა სხვა რა უნდა შეისწავლონ იქ? ჩემის აზრით არაფერი საქირო არ არის

ჩვენი არტისტები აქაც კარგათ შეისწავლიან ყველაფერს.

შალვა. ბატონი ილია, სრულ ქეშმარიტებას ღალატებს. მე დავუპატიებ, რომ ამ გაღამაზნჯბულ არტისტებსაც სამუდამოთ დავკარგავთ, ისინი ჩვენ რუსეთიდან აღარ დაგვიბრუნდებიან და იქვე დარჩებიან.

გაბუნია. (ხელებს იქნევს და ყვირის) ბატონო თავმჯდომარე! ბატონო თავმჯდომარე!

თავმჯდ. რა გნებათ?

გაბუნია. მომეცით ნება, ბატონო თავმჯდომარე, ერთი კარგათ გაგიჩუქოთ ილია.

ილია. (წამოვარდება და ყვირის) გაბუნია, მიფრთხილდი! (დაჯდება).

გაბუნია. (მუშტს მოუღერებს ილიას) არ შეშინია, არა თქვენი. უნდა ესტკვა.

თავმჯდ. ილაპარაკეთ, ბატონო გაბუნე, მაგრამ გახივთ მუშტურ საკითხზე არ გადახვიდეთ, გულ ჩვილი კაცი ვარ და ნერვები ამეშლება.

აღია. (გაბრაზებული) ბატონო თავმჯდომარე! თუ არ გააჩერეთ, გარწმუნებთ, რომ ავს ვერ შევიმაგრებ.

თავმჯდ. (აღერსით) როგორმე, ჩემი ხათრისთვის, თავი შეიმაგრეთ, ბატონო ილია იცოლეთ დიდათ დამავალბეთ.

ილია. (დაჯდება და ყურებში თითს დიცივს) აბა ვნახოთ.

გაბუნია. ბატონებო! ვამტიკებ, რომ ბატონი ილია, ძალიან სცდება. პირდაპირ სიცრუეს ლაპარაკობს...

ილია. (უცბათ თითს გამოიღებს ყურებიდან და რა ვაიგონებს სიტყვა სიცრუეს აწთება) გაბუნია! ფრთხილათ!

გაბუნია. ჩვენი არტისტები ბევრ რამეს შეისწავლიან რუსეთში: პლასტიკას, ხელოვნების ისტორიას და სხვა. ერთი ის რაღა ღირს, რომ მიხვრა მოხვრა საუცხოვო ექნებაო. ისე ბაჯბაჯს აღარ დაიწყებენ სცენაზე, როგორც ახლა. ყველა ამის მიხედვით მე მოვიხივებ, ბატონ ილიას მოსახრება უყურადღებოთ დასტოვოთ და ვადასწყვიტოთ ვაიგზავნონ რუსეთში ჩვენი არტისტები.

ილია. (უკანასკნელ სიტყვებს ყურს მოჰკრავს და წამოვარდება) ესლა ჩემი რიგია, ბატონო თავმჯდომარე, მე დავუშტკიცებ გაბუნიას, რომ ის სტყუის. იმისთვის, რომ მიხვრა-მოხვრა შეისწავლონ საკირო არ არის ჩვენი არტისტების რუსეთში გაგზავნა. მიხვრა-მოხვრას აქაც მშვენივრათ შეისწავლიან. (მიუბრუნდება გაბუნიას) გაბუნია! ამას

ესლავე დაგიშტკიცებ: შე არსად არც მიხვრა-მოხვრა მისწავლია და არაფერი, მაგრამ ჩემისთანა მსახიობი ერთიც არ არის აქ. (წამოვლავებს, მოხვრეს ხელს რამდენიმე სჯამს, ზედ მჯდომებით და სცენაზე გადაჰყრის) აი მიხვრა მოხვრა (შემოტრიალდება) ვანა ამაზე უკეთესი მიხვრა მოხვრა ექნება რუსეთიდან მოსულ არტისტებს? (სცენაზე მყოფნი შეშინებული წამოვცივიან. ილია ისევ სდგას და კიდევ აპირებს მიხვრა მოხვრის სანიშნუო გაკეთების მიცემას, მაგრამ დევევიანი აქეთ იქიდან და დააშოშმინებენ) თუ გნებათ შე გავხსნი სკოლას და მე მოზაბარეთ არტისტები.

გაბუნია. (კარებში თავს შემოჰკოფს. ამ გაკეთების დროს ის ქუჩაში გავარდნილა. ფრიად შეშინებულა) გაკეთებლი ვააოვდა?

თავმჯდ. ვააოვდა. მიბრძანდით, ბატონებო! ბატონი ილია სტყუის...

ილია. (ყვირის) როგორ თუ ესტყუი!

თავმჯდ. მოიფრთხილეთ! მე ვიცი სომხის ერთი არტისტი ბ-ნი ადამიანი, რომელმაც საზღვარ გარეთ შეისწავლა სასცენო ხელოვნება და დაბრუნდა სამშობლოში, მას აქეთია ის სომხურ სცენას ემსახურება. ეს არის ბ-ნი ადამიანი. აბა მითხარი ერთი რომელი სომეხი არტისტი სჯობია მას? სჩანს რუსეთში და საზღვარ გარეთ შეუძლია ჩვენ არტისტებს მიიღონ სწავლა განათლება და შემდეგ ჩვენ სცენას ემსახურონ.

ილია. (გაბრაზებული) სტყუით! ბ-ნი ადამიანი არ ყოფილა.

თავმჯდ. (წყენით ეგ უსამართლობაა, ბატონო ილია...

ილია. (ისეთი ხმით დაიყვირებს, რომ თავმჯდომარე სჯამიდან გადავარდება) შე ვამბობ უსამართლობას? მაშ კარგი... (გაბრბის გაბრაზებული კარებისაკენ).

თავმჯდ. (წამოღგება და ქვითინებს) ბატონო ილია, ბატონო ილია!

ილია. (შეჩერდება კარებთან) რა გნებათ?

თავმჯდ. (ტირილით) ხომ არ ვაწყენინეთ, ბატონო ილია.

ილია. არა.

თავმჯდ. მაშ სად მიდიხართ? რათ მიდიხართ?

ილია. მივდივარ იქ... იქ... წყალი უნდა დავლირი.

თავმჯდ. (გახარებული) მაშ ბევრს ნუ დავლევთ, ცხელ გულზე გაწყენთ. კრება იხურება.

ბურნუთი.
(იხსურა)

რომანსი.

ოცნების ანგელოზო, ღმერთავ მშვენიერების,
 კერპო ობოლ სულისა, სხივო ბენდიერების,
 ვიწვი ტრფობის სახილით, ვიწვი წმინდა ვნებითა
 ჩანგი იქცა ჰანგებათ ციურ ცეცხლის გზნებითა!
 ფიქრით შენ შეგქეითინებ, ჩუმთ, გულით ვკრიბი მე,
 ნუგეშს როდის მაღირსებ, მითხარ შენი ქირიმე!

* *

სიმი შენით ათრთოლდა სევდით გაცივებული,
 სიცოცხლეს დაეუბრუნდი მუხთალ სოფლით ვნებული
 მოვალ შენდა... აღმადგენს შენი წმინდა ტაძარი,
 გულით ლოცვა აღმოძხდა, ქურუმს გამოღე კარი.
 წუთიერ ცხოვრებისა დღემდე ვიყავე მწირი მე!
 აწ სიტყვა ზე-აღმდგენი, მითხარ შენი ქირიმე!

* *

სიყვარულის ყვავილებს ირგვლივ დავკრეფ სრულად,
 შენ მოგიძღვნი ღვთაებავ უკვდავ თაიგულათა
 ვიმღერ შენი მგოსანი, ვიმღერ აღტაცებითა,
 თვით სიცოცხლეს შეგიძეკო მომხიზლავ ლექსებითა
 არ ვიდარდებ, თუნდ მიწით დავრჩე განაწირი მე;
 ოლონდ სიტყვა ნუგეშის მითხარ შენი ქირიმე!..

ნ. ჩხიკვაძე.

ათანასა.

(დასასრული. იხ. სალ. № 19.)

III.

როგორც მთელ მაზრაში, ისე სოფელ ხევშიაც
 იღვწენ მთავრობის დარაჯებნი. მათ თავგასულობას
 სასლგარი არ ჰქონდა; ისინი ხან მოვრალნი და ხან
 ფხიზელნი უსაქმოთ დახეტებოდნენ დაბა-სოფლებ-
 ში და ათას გვარ სისაძაგლეს ჩადიოდნენ; უფროსის
 დაუკითხავათ ჩხრეკდენ ოჯახებს და იქერდენ სულ
 უდანაშაულო პირებს.

სოფლებებმა ვეღარ აიტანეს მუდმივი დამ-
 ცირება, საშინელი წამება და მთავრობას სთხოვეს,
 რომ აეკრძალა დარაჯებისთვის სოფლებში თავაშე-
 ბული თარეში; მაგრამ მთავრობამ ისევ სოფლე-
 ლები დატუქსა და მეთაურები კიდევაც დაატყვევა.
 ამ გარემოებით დაშინებული სოფლებები კრინტ-
 საც ვეღარ სძრავდენ, მაგრამ დარაჯებს და მათ
 უფროსებს ყავდათ დაუძინებელი მტრები, „ყაჩა-
 ლები“.

ამ გვარი პირები სოფელ ხევიდანაც იყვენ
 გაქცეული. დარაჯებსა და გადავარდნილ ახალგაზ-
 რდათა შორის მუდმივი ბრძოლა იყო გაჩაღებული.
 ხშირათ მოხდებოდა, რომ დარაჯები მიაშწყდევ-
 დენ ყაჩაღებს საღმე სახლში, აუტეხდენ სროლას
 და რომელიმე ამხანაგს მოუკლავდენ. მაშინ ყაჩა-
 ლებს აუცილებლათ სამაგიერო უნდა გადაეხადათ;
 ასე, ერთი თვის წინათ მოუკლეს მათ ერთ სოფელ-
 ში დარაჯებმა საუკეთესო ამხანაგი ყარამან ლო-
 მიძე; მას დიდი გავლენა ჰქონდა მოპოვებული და-
 ნარჩენ ამხანაგებზე, ყველას ის მეთაურობდა, და
 მთავრობაც ყველაზე უფრო მეტათ იმის ხელში
 ჩაგდებას სცილობდა. აი, ეს საყვარელი ამხანაგი
 მოუკლეს დარაჯებმა. მისმა ამხანაგებმა ფიცი დას-
 დვეს, რათა არ უნდა დაჯდომოდათ, მოეკლათ
 ყარამანის მკვლელები. მას შემდეგ გაფაციცებით
 თვალ-ყურს აღენებდნენ მკვლელ დარაჯების ყო-
 ველ ფეხის გადადგმას, და არჩევდენ მოხერხებულ
 დროს და ადგილს, სადაც მათ შეეძლებოდათ თა-
 ვიანთი განზრახვის სისრულეში მოყვანა.

ერთ დღეს გაიგეს, რომ სწორეთ ის დარაჯე-
 ბი, რომელმაც ყარამანი მოკლეს, სოფლათ არიან
 წასრულნი და ამ და ამ დღეს, საღამოს დაბრუნ-
 დებიანო. ხელათ მოიყარეს თავი ერთ ფარულ აღ-
 გილას და დაიწყეს თათბირი, თუ როგორ უნდა
 მოქცეულიყვენ დასახვედრათ უნდა წასულიყო სა-
 მი კაცი; დანარჩენი კი საღმე მახლობლათ ჩაისაფ-
 რებოდნენ, რომ საქიროების დროს ამხანაგებს დახ-
 მარებოდათ. როცა კითხვა დაისვა, ვინ უნდა დარ-
 ჩეს ეგ სამი დამხდურებო, სულ ყველა ერთი-მეო-
 რეს ეცილებოდნენ:

— ყარამანეს სისხლი მე უნდა ვევილო, არ
 შეიძლება+!. — უეჭველათ რომ ეციოდე მომკლავენ-
 მეთქი, მოკლე მაინც არ შემიძლია“.

— „ერთი ჩემი ტყვიითაც თუ არ დავწვა ყა-
 რამანეს მკვლელი, ისე სული ვერ მეისვენებს“ —
 ამბობდა მეორე, ბოლოს რომ ვეღარ შეთანხმდენ,
 კენჭის ყრით გაათავეს საქმე. ის სამი ახალგაზდა,
 რომელთაც კენჭით დარაჯების მოკვლა შეეხდათ,
 წავიკეთ დანიშნულ ალაკას თავისი მიზნის სისრუ-
 ლეში მოსაყვანათ. ისინი მივიდნენ ამ დანიშნულ
 ადგილას. ამოირჩიენ კარგი საფარიანი ადგილი,
 ჩაესაფრენ და სულ ვანაბლენი მტრის გამოვლას
 ელოდნენ.

დადამდა. ცა ვარსკვლავებით მოიქცდა; ირგვ-
 ლივ სიწყნარე იყო, მხოლოდ საერთო ღუმილს
 არღეევდა ახლო-მახლო ქაობებში ზაყაყათა გულ-
 შემზარავი ყიყინი და ცოტა მოშორებით ადგილო-

ბრივ თავადის წისქვილის ხმაურობა. ცოტა ხანს უკან ცხენების ფეხის ხმა მოისმა. ეჭვი არ იყო რომ ესენი დარაჯები იყვნენ. ცხენებს წელა მოავაგოებდნენ და მხიარულათ ლაპარაკობდნენ:

— ნამდვილი საკნატუნებელი იყო ის შეჩვეული; ბევრი კი იხვანცალა, მარა შენც არ მომიკვდეს რომ დავავლე ხელი წელში გასაქანი აღარ მივეცი!—ამბობდა ერთი, ვილაც ქალის შესახებ.

— ის ბერიკაცი სად იყო ამ დროს, ბერიკაცი?—სიცილით ჰკითხა მეორემ.

— ბერიკაცს გულის მოსაკლავათ ერთხანს ქე ვაყურებივ და მერე, როცა ნამდვილ საქმეს შეუდგე, ვიძვრე მათრახი, გადუსვი მაგრა-მაგრათ და ლოგინს ქვეშ მივაბრძანე—უპასუხა პირველმა სიცილითვე და ასტყდა საერთო ხარხარო.

— მოდი ერთი ხვალ ხეცს დავეღწნათ თავზე; ძალიან რამ...

ველარ დაასრულა მესამემ, უცბათ იგრიადეს თოფებმა და ორი იმათგანი ძირს დაეცა. მესამემ თოფზე იტაცა ხელი, მაგრამ გვიანდა იყო: 'თოფებმა ხელმოვრეთ იგრიადეს...დარაჯმა ერთი საშინლათ ამოიკენესა და ისიც ძირს წამოვიდა. მკვლელნი მარდათ გამოკვივდნენ საფარიდან. ერთი იმათგანი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და როგორც ტყუობოდა არც გონება ჰქონდა დაკარგული.

— ქე გიღვია კარგ სული შენ ძაღლო?! „საკნატუნებელი“ იყო? აი შენი საკნატუნებელი!.. უთხრა მას ერთმა ყაჩაღთაგანმა და ტყვია შიგ პირში მიახალა. ამას შემდეგ ყაჩაღებმა საქართო მიატოვეს იქაურობა და ტყისკენ გაქუსლეს.

IV.

შინ მისვლისას ათანასემ ხარები საბალახოთ აუშვა ეზოში და თვითონ ფაცხაში შევიდა. მართა ამ დროს ცეცხლის პირას იჯდა. ათანასეს გულმა მის დანახვაზე ცოტათი სიამოვნება იგრძინა:

„აი ღმერთო, თუ არ მომიძულა თლათ!.. ეინ იცის, ეგება ქე „წამოზღუბულდეს“,—გაფიქრა ათანასემ თავის გულში და ცოლის ტკბილათ უთხრა:

— რავე, ნუ ადგები მეთქი და მაინც არ ჯერხარ შენ საცოდავარ?! არ გაწყინოს შენ ამ წამოდგომამ...

— რა ვქნა კაცო, აბა!.. იმ ლოგინზე ნაწოლი გვერდები აღარ მაქვს აღარც სიკვდილის ვარ და აღარც სიცოცხლის, კენესით წარმოსთქვა მართამ.

— მარიკე ხომ კი იყო დღეს ერთი მართა?
— იყო, აბა, ვინ გამოიკეთა იგი ერთი ლუკმა ხევისი!..

— იგი აცოცხლა ღმერთმა!.. ქვეყანაზე თუ ცხონებაა იგი დედაბერი კი უნდა ცხონდეს სწორეთ,—წარმოსთქვა ათანასემ; წაიძრო ფეხიდან დამტვერიანებული წინდა-ქალამნი და ფეხების დასაბანათ თბილი წყალი მოიხზა. უცბათ შორიდან თოფების ხმა მოისმა. მართას შიშით კანკალი დაწყებინა. ერთი ათანასეც შეერთა, მაგრამ შემდეგ ცოლი გაამხნევა და თვითონ საქართო ვარეთ გამოვიდა. საღლაც ზარის რეკაც ისმოდა, ცოტა ხანს უკან ათანასემ გზაზე თვალი მოჰკრა ერთ ნაცნობ სოფელს, სიპიტო კუნცხურაშვილს, რომელიც ვაცხარებით შინისაკენ მიდიოდა.

— სიპიტო, რა ამბავი იყო თუ იცი იგი თოფების სროლა?—გადასახა ათანასემ სიპიტოს.

— რა ამბავი კი არა, ერთი სიტყვით გული აგერ-აგერ გამისტება...

— ჰო, რა იყო კაცო?..

— სტრაჟნიკები ღუხუხობენ!

— ვაი, ჩვენ დღეს! მოგვსობენ ახლა!.. რა ადგილას მომხდარა მიი ამბავი სიპიტო თუ იცი?

— რა ადგილას და წისქვილს იქით!.. შენ რომ საყენე გაქ, ე, იმას ვაღმა კედრით, მოკნტულზე... შით სოფელში არ მუუკლავენ, მარა, ვინ იცის მაინც რას გვიზამენ!—უპასუხა სიპიტომ, ჩქარი ნაბიჯით წავიდა და თან: „რომ არ მისივინეს იმ კაცებმა, არ იქნა! ვერ ისწავლეს კუა... რა დროის მაგია ახლა ქვას ქვაზე აღარ ტიებენ“.

— ღმერთო მადლობა შენ, რომ იქინე არ დავრბი ახლა, თვარა ვინ იცის რას გადავეყრებოდი,—გაფიქრა ათანასემ თავის გულში და ფაცხისაკენ გამობრუნდა, მან მოკლეთ უამბო ცოლის რაშიაი იყო საქმე დაიძინა: „ნუ გეშინია, აფერის ფიქრი ჩვიდო; სოფელს ვარეთაა მოკლული და ამიტომ ჩვენ შეიძლება სულ აფერი მოგკითხონო“.

ცოტა ხანს უკან ყველაფერი მიწყნარდა, და ათანასემ თავის საქმეზე დაიწყო ფიქრი: „ჩველ თუ ღმერთმა შეიღობით გამითენა, იმ ადგილს ქე ჩავთესავ... მერე თუ შეიღობა დარჩა ამ ეზოს თოხითაც კი გვევილი... შევხებუწები მარიკას, დავტიებ მართასთან და, სანამ სამარგელი მოვიდოდეს მე საცხა ქირაზე წავალ“—ასეთი ფიქრის შემდეგ ათანასეს ცოტა იმედი მიეცა; ის ეხლა შეიღობ მიუბრუნდა:

— ბაბა, სარდიონს შენ იცი აბა რავე ადრე ადგები.. მომეხმარე ბაბა ამ ერთ ხანს და მერე დეისვენე,—უთხრა მან შეიღობს და ის იყო დასაწოლათ ემზადებოდა, რომ ამ დროს ვილაცის ძახილი მოისმა:

— ათანასე! ათანასე ხარ შინ?! — ამ ძახილზე სულ ყველანი შეკრთნენ, ყველას გული გამოურყვეველმა შიშმა შეიპყრო. ათანასე უსიტყვოთ გამოვარდა გარეთ.

— შინ გახლავარ ბ-ნო, ვინ ბრძანდებით გასძახა მან ქისკრისაკენ.

სამი კაცი უსიტყვოთ, აჩრდილებივით წამოვიდნენ ათანასესკენ, მივიდნენ მის ახლოს და წინ გაუჩერდნენ. ესენი იყვნენ სოფ. ხევის ორი იასაული ერთი სტრაჟნიკით, რომლებსაც მამასახლისის ბრძანებით ერთი კაცი უნდა გამოეწვიათ სოფლიდან, ღამით ოკოლული დარაჯების დასაცავათ. მიიღეს თუ არა მათ მამასახლისიდან ბრძანებამ, იმ წამსვე ათანასეს მოაშურეს.

— შორს რაღას „ვხათქუნობთ“ კაცო ამ ღამე, აგერ არ არის ათანასე? — სთქვეს მათ როცა საშხართველოდან გამოვიდნენ.

ათანასეს მათ დანახვაზე თავზარი დაეცა, გაშრა; მიხვდა რომ, ამ სამი კაცის მოსვლა კარგ რამეს არ მოასწავებდა.

— ათანასე, ჩვენ მამასახლისმა გამოგვაგზავნა; უნდა წამოხვიდე. — გადაწყვეტილ და ცივით უთხრა ათანასეს ერთმა იასაულმა.

— რეიზა?!.. რა დავაზე მე უბედურმა? რას მერჩობი?! — აკანკალებულა ხმით შეეკითხა ათანასე იასაულს და სანახევროთ აცრემლებული თვალებით მიაშტერდა.

— რავე შეგეშინა კაცო?!. რაფერი მშინზარაყოფილხარ შენ?!. რას გერჩინე და არაფერს, მარა ხომ იცი რა ამბავი მოხდა ამ საღამოს?!. სამი მკვდარი აწყვიტა ეგერ შარაზე და ამელამ შენ უნდა უყარაულო.

— უნდა უყალაურო?! სასოწარკვეთილებით ჩაილაპარაკა ათანასემ და ჩაჩუმდა აღარ იცოდა რა ეთქვა.

— ხომ გეყურება ათანასე?

ათანასემ როგორც იყო ამოიკნავლა — აწი მერე რავე, ჩემს მეტი ვერაკაცი ვერ ნახე, შენ, იულო? ხომ კი იცი შენ რა დღეი მადგანა მე?... ავათმყოფობა და...

— ჰო, მაგაზე ვარის თქმაი რავე შეიძლება; ათანასე; ბრძანება — გააწყვეტინა ათანასეს სეორე იასაულმა.

— ღმერთი იწამე! ნათესი ყანა მაქ მითე-ბული და, იგი თუ ხვალე არ დაეთესე თლათ, ამ ხარებს ქე წიყვანს ვგნატე ხუცესი და. იმას ქე შემიპას ტყვილა ღორები...— ნუ მიხამთ მაგისთანა საქმეს. — ევედრებოდა ათანასე სოფლის მოხელეებს.

სტრაჟნიკი, რომელიც ამდენხანს გაჩუმებული იყო და თითქო დროს უცდიდა აბა, როდის იქნება ჩუმი ძალა საქორაოვი, ეხლა როცა ათანასემ ცოტა ლაპარაკი გაუგრძელა მათ, ხელათ წინ წამოიწია, შეატრიალა თოფი ხელში და დაუყვირა:

— რა ბევრს ლაპარაკობ, შენ ყაძახო, რომ გაგიბაჯაკინებია მაგი ფეხები!.. ამ საათში მოემზადე და წამოდი! სული არ დაბერო უბედურო თვარა!.. მუქარით უთხრა მან ათანასეს და მათრახი უჩვენა. საბრალო ათანასემ ხმა ჩაიკმინდა და თვალცრემლიანი ფაცხისკენ, გაბრუნდა.

— დილას სამუშეირი მაქო ათანასე შენ რომ ამბობ, რავე შენ კი არ გიქერნენ კაცო იქინე... დილას წამოხვალ და შენ საქმეს ეწვევი, — უთხრა გამარჯვებულმა იასაულმა ფაცხაში მიმავალ ათანასეს.

მართა, რომელმაც ყველაფერი გაიგონა, რასაც ათანასეს ეუბნებოდნენ, გულშეწუხებული ღორგინზე იწვა და ცხარე ცრემლებით სტრიოდა: „ღმერთო შენ გუუქვირე იმას, ვინცხა მე მიქვირებს, ვინცხა ამ დღანჯულ სიცოცხლეს კოლომ მიმწარებსო“.

— მეტი საშველი არაა, უნდა წავიდე მარა, შენ მიიცი ნუ შეგეშინება, ჯავრს ნუ ჩივდებ; დარდი კი შეყოფა მე და შენს დარდს მაინც ნულარ გამატან... მარცხს, ქე ვეტყვი, რომ ამელამც აქანე დარჩეს და ხვალეც, — ნადღლიანი ხმით უთხრა ათანასემ მტირალა ცოლს და დაუმატა: — კიი ახლა, ნულარ ტირი!.. ბანდები მიეხაფრება და შენც გაწყენს. — ამ სიტყვების შემდეგ მან წაიკრა თავზე ჩაბალახი და გარეშე გამოვიდა მავრამ ისევ უკან მიბრუნდა და პატარა სარდიონს უთხრა!

— ბაბა! სარდიონ! შეიხმარიე დილას მარკე, დასარქე ხარები და „საქინძიაში“ ჩამოიყვანე... თუ ღმერთმა შეიღობით გამითენა, მე ქი დაგზედები იქინე; თუ იშონო პაწე ცივი მქადის კიდეც წამეილე... ქკუით იყავით! — უკანასკნელთ უთხრა ათანასემ ცოლშვილს და მწარეთ დაღონებული გამობრუნდა.

— ათანასე, ხარებზე რომ ლაპარაკობ შენ, ხარებს კაცო მეც კი გამოგიგზავნი აქედან დილას; მაგიზა რამ შეგაწუხა შენ?!. ეუბნებოდა პირფერობით ერთი იასაული ათანასეს და თან გახარებული, რომ შორს სიარული არ დასჭირდა ამ ღამე, ეშმაკურათ უღვაშებში იცინობდა.

ათანასე მიიყვანეს იმ ადგილას, სადაც ერთ დიდ წიფელას ქვეშ მოკალულები დაესვენებოთ, დატოვეს მარტო და თვითონ უკანვე გამობრუნდნენ. მთელი ღამე ათანასემ შრშში და მოუსვენრობაში

გაბარა; მას ყველაფერი ეჩვენებოდა, უბრალო ფოლადის შრიალიც კი შიშს ვგვირდა.

— დმეტრიო რეივა გემაჩინე, — მწერათ გაფიქრებდა ის ხანდახან და ხშირ-ხშირათ აღმოსავლეთისაკენ იქტირებოდა აბა, თუ თენდებოდა. ბოლოს მან გააჩინა ცეცხლი, მოუჯდა გვერდზე და ყალიონს მოუკიდა. ათანასე ზედი-ზედ სწევდა ყალიონს და შავს ფიქრებს ეძღვროდა. გათენების ხანამაც მოაწია; აღმოსავლეთმა ვარდის ფრთა იწყობდა ცილი, სამყარო დღის სინათლის შესახვედრათ შეიშშეშნა. გარეგარეის სიომ უძილობით მოღლილ-მოქანცული ათანასეც გამოაცოცხლა, ის ზეზე წამოდგა. ჩუმებით შენ გმადლობ რომ შეიღობით გადამაჩინე წუხანდელ ღამეს... უძიანობა კი ვარ, მარა რაც უნდა დამემართოს, ბადანამ თუ ხარები ჩამომიდგნა; დღეს „საქინძის“ მინც დავეთსავ, — გაიფიქრა ათანასემ თავის გულში. უცბათ რაღაც ხმაურობა მოისმა და გზის ერთი მხრიდან ეტლი გამოჩნდა. „აღბათ „ვეზლის“ „ჩაჩალინი“ და გამოძიებელი იქნება, მარა ასე ადრე რაფერ ადგენ, ან აქიდან, რამ მიყვანენ“, — გაიფიქრა ათანასემ და თვალები ეტლს მიაპყრა. მეტეტლემ სწრაფათ გამოაქანა ცხენები პირდაპირ ათანასესაკენ და მოკლულენის ახლოს გააჩერა. ათანასე საშინელმა შიშმა აიტაცა: ეტლიდან სამი შეიარაღებული სტრაჟნიკი გადმოხტა. მათი სახის მხეტური გამომეტყველება და ამღვრეული თვალები რაღაცას ცუდს მოასწავებდნენ. როგორც სჩანდა მათ გაეგოთ ამხანაგების დახოცვის ამბავი და უფროსის დაუკითხავათ მათდა სანახავათ და წასაღებათ მოსულიყვენ ასე ადრე. არც მხარის უფროსი და არც გამომძიებელი არსათ სჩანდა.

— შენ ვინ ხარ? რა გინდა აქ? — შეუბღვირა ათანასეს ერთმა იმათგანმა და მისკენ გაქანდა.

— მე ბატონო, ვყარაულობ, მამასახ...

— აი. მოკალით და ახლა ყალაურობთ შენ ღორო?.. გააწყვეტინა ათანასეს მან და, მათრახი შიგ სახეში სთხოიშა. ათანასემ ტკივილისაგან ერთი მწერათ ამოიკენესა და ცალი ხელი სახეზე იტაცა.

— რაღას ეფერები კაცო, მაგ მამას... გადაუწყვი კისერი! — დაიძახა მეორემ, ხანჯალზე ხელი იტაცა და გამოქანდა. მას მესამეც გამოჰყვე. ათანასეს კანკალი დაწყებინა, შესაბრალისათ დაიდრეჯა და უნდოდა რაღაცა ეთქვა მაგრამ მას აღარ აღარ აცალეს; ხელათ სტატიც ხელი კისერში და დასაკლავ ღორიგით ძირს დასცეს. უბედურია ათანასე საშინლათ იგრიებოდა, მწერათ ქშენდა; ლამობდა რილაცის თქმას, მაგრამ მას სულის მოთქმის ნებასაც აღარ აძლევდნენ.

— აბა! რაღას უყურებ? გამოუსვი ჩქარა!! — დაიძახა ერთმა დარაჯმა. ამ სიტყვებზე მეორემ იძრო ხანჯალი დააღო ათანასეს ყელზე და მაგრათ გამოუსვა. წითელმა სისხლმა შადრეგანიგით ითქროილა. უბედურმა ათანასემ ერთი საშინლათ ამოიხრილა და ფეხები გაქიმა. ბოლოს სულ მოაცილეს ათანასეს თავი სხეულს და იქვე ახლოს დააგდეს.

ბატარა სარდლიონი, რომელსაც დილით მამისათვის ხარები ჩაეყვანა და გაეგო მამის სიკვდილი, დილით ათ საათზე, ფეხშიშველად, თავდავიწყებით სოფლისაკენ მობოდა და შესაბრალის ხმით ყვიროდა: „ზაზა-ა-ა-აეი... ზაზა-ა-ა-ა-აეი“.

როცა მას გზაზე სოფელელები დაეკითხებოდნენ: „რა იყო ბიძა რა მოხთაია“, — ის ცოტათი ხმას დაუშვებდა და გულ ამოსკვნილი უპასუხებდა, „ზაზა-ა-ა-ა-აეი“, და ისევე ყვირილით ვარბოდა შინისაკენ, რომ იქ ავამოკოფი დედისათვის ეცნობია ეს სახარელი ამბავი.

— ვაი, უბედურო ათანასე!.. შეხედეთ ვისზე იყარეს ჯინი იმ უღმერთობმა!!.. მწუხარებით წარმოსთქვა ერთმა სოფელელმა, როცა ეს სამწუხარო ამბავი გაიგო.

— კი, კი! ოკროპირ!.. ნამდვილია!.. ჯინი იყარეს იმ საცოდაზე, — გამოეხმაურა მას მეორე სოფელელი. როცა ბატარა სარდლიონი ყვირილით ჩვიდა ეზოში, მას რამოდენიმე ქალი და კაცი თან მიყვა. მის ყვირილზე წელში მოხრილი მარიკა გამოვიდა გოთურ და როცა გაიგო რაშედაც იყო საქმე, შესაბრალის ხმით მოუთქვა: „უბედურო ათანასეაააეი!! რას გერჩოდეთენ!! ვის რა დუშუავე შენ უბედუროოოო!!“.

სარდლიონი ტირილით დედასთან შეეპარდა; მას სხვებზე შეყვენ, მაგრამ საბრალო მართა თვალზე დაკარგული უძრავად იდგა ღოგინზე; მას აღარაფერი ეყურებოდა. უბედურია, ბატარა სარდლიონის და მარიკას მოთქმა-ყვირილით მიიხვედრეყო ათანასეს სიკვდილს, გული დასუსტებოდა და სამუდამოთ დაღუგმულიყო. ათანასეს ზავშეების ტირილი და მარიკას გულ საკლავი მოთქმა ყველას გულს უღულუბდა.

ნათემა.

წამთრის სიზმარი

დრამა 3 მოქ. შაქს დრეკოსის.
(გარემქლება. იხილე სალაზური № 19).

გამოსცა მკეხუე.

ტრუას. (განს) თქვენ ყოველივე ეს მაინც გწყინთ, არა?
განს. გარწმუნებთ არა, მართალია პირველათ.

ავლელვდო, მაგრამ მე აზგვარ შემთხვევაში თავის შეკავება შეადვილებს. ესლა იმაზედ აღარც კი ვფიქრობ. მე არ შემძლია მოვიტხოვო რომ აღამიანი ჩემში ღირსეულს მოქალაქეს. (გერლოფ გაღის, გვერდიდან ზიზლით შეხედავს განს).

ტრუდა. ეგ მგონი თვით აღამიანზე არის და მოკიდებული.

განს. რასაკვირველია.

ტრუდა. და თუ ბევრს არ შეუძლია თქვენი და თქვენის შრომის ღირსეულად დაფასება...

განს. ცოტანი წაინც დამაფასებენ.

ტრუდა. დიახ.

განს. თქვენ ისე დაბეჯითებით სთქვით ეს, რომ მე მხოლოდ სიხარულიდა დამჩენია.

ტრუდა. რამ უნდა იაგახაროთ?

განს. იმან, რომ თქვენთვის ჩემი მისწრაფებანი სრულიად უცხო არა ყოფილა.

ტრუდა. განს მე შემძლია თქვენ მისწრაფებას არ ვიზიარებდე?

განს. (გატაცებით) ეს კი საუცხოვოა.

ტრუდა. თქვენის სიტყვების შემდეგ ჩემში გა-ცოცხლდა ის, რაც აქამდის მიძინებული იყო. მე ვერას დროს ვერ შევძლებ სამაგიერო გადაგიხადოთ. თქვენ მე საკმაოთ დამარცხენით.

განს. დაგარცხენით?

ტრუდა. დიახ, დამარცხვანეთ. მე აქ უსაქმოთ ვარ, ჭვეანაზედ კი ძალიან ბევრი საქმე არის.

განს. მაშ ეს შეიცვლება?

ტრუდა. უნდა შეიცვალოს. აბა თქვენ თვითონ მითხარით, არ დაკარგავდით თქვენ ჩემდამი პატივისცემას კვლავ ბუხართან ჯდომა რომ განმეგრძო? მე თვითონ დეკარგავდი ჩემის თავისადმი პატივისცემას. არა და არა. მე რაიმე უნდა ვისწავლო და ვიმუშაო.

განს. (ჩაფიქრებული) თუ ეს თქვენ სერიოზულაა გინდათ...

ტრუდა. დიახ მინდა და ძალიანაც მინდა.

განს. მაშ დანხარება საჭიროა.

ტრუდა. განა თქვენ ვაქვთ რამე ჩემი შესაფერი?

განს. დიახ, მე შემძლია შემომეთავაზებინა თქვენთვის სამოქმედო ასპარეზი.

ტრუდა. სადა?

განს. მე მყავს ბერლინში და, უმფროსი და. ის ქვრივია და საბავშვო ბაღი აქვს. ხშირათ ვერ შეხვდება აღამიანი იმისთანა ბრწყინვალე თავის აღამიანს და კეთილი გულის პატრონს. ის გიჩვენებდით თქვენ ნამდიგლს გზას, ამასთანავე იმას დიდი ნაცნობობა ყავს და თქვენთვის აღგიღის შოვნა არ გაუძნელდებოდა.

ტრუდა. (გაბრწყინებული) ეგ რომ განხორციელდეს!

განს. იმის ნაცნობები ბევრი გამოჩენილი აღამიანია. მის სახლში ხშირად იკრიბებიან მისი ნაცნობები, რომელთა შორის მწერლები, მხატვრები და პრაქტიკული საქმის ხალხიც არის. ბევრი განათლებული და განვითარებული ქალიცაა. იქ თქვენ შეხვდებით ახალს შეხედულებას, ახალს მიმართულებას; იქ ჰპოვებს ახალს სახრდას თქვენი სული და გული.

ტრუდა. ნეტავ, ნეტავ იქ მოკვდე!

განს. სიამოვნებით შევასრულებდი თქვენს სურვილს, მაგრამ...

ტრუდა. (შემკრთალი) რის თქმა გინდათ?

განს. არაფრის გულისათვის არ მინდოდა უთანხმოება შემეტანა მე თქვენს ოჯახში. რასაკვირველია თქვენ ვაქვთ თქვენი საკუთარი სურვილები, მისწრაფება, გსურთ ამორჩეულის გზით სიარული, მაგრამ, თუ თქვენი მახლობელნი და ახლოს მყოფნი თქვენი წასვლით შესწუხდებიან?

ტრუდა. როგორ ფიქრობთ, ხომ შემძლია ეს ჩავიღინო ჩუმათ, ფარულათ.

განს. არაფრის გულისათვის.

ტრუდა. ანდა წავედე იმათის სურვილების წინააღმდეგ.

განს. უკანასკნელს უფრო ვეთანხმები.

ტრუდა. არა არც ეს ვარგა. მე უნდა მოველაპარაკო, პირდაპირ უნდა უთხრა.

განს. ეგრე ყველასა სჯობია.

ტრუდა. თუმცა კი ეგ ჩემთვის ადვილი არ იქნება.

განს. რატომ?

ტრუდა. აქედამ თქვენ შეგიძლიანთ დაასკვნათ, რამდენად სულ მოკლე აღამიანი ვარ მე.

განს. მაშინ...

ტრუდა. არა, არა. მე არ მინდა თქვენ ექვი შეიტანათ ჩემის ნების, სურვილების პირველსავე გამოხატულების სიმტკიცეში მე უნდა თავი დავხაწო ამ უხარო და უსარგებლო ცხოვრებას. მე ამათ ჩემს მოთხოვნილებას წარუდგენ. ჩემი მახლობლები ამაზედ უნდა დამთანხმდნენ იმათთვის ცხადი უნდა იყოს, რომ მე აქ ვიღუპები. ჩემი დაღუპვა კი იმათ არ უნდა უნდოდეთ. მე პირდაპირ გამოვსთქვამ ჩემს გულის ნადებს.

განს. ეგ ყველასა სჯობია. გამოურკვეველი არაფერი არ უნდა იყოს.

ტრუდა. (შორს იქირება) არაფერი, არაფერი არ იქნება.

განს. როგორც კი შეთანხმდებით, მახლობლებთან, მე მზათა ვარ სიამოვნებით ვიკისრო თქვენის გამცილებელის მოვალეობა. მე დარწმუნებული ვარ ჩემი და მოგეწონებათ და ძალიანაც დამეგობრდებით. ჩვენ საერთო მისწრაფება და საერთო შრომა გვექმნება.

ტრუდა. როგორ კარგად შეიძლება მოეწყოს ცხოვრება!

განს. ხვალ, ნასადილევს, ბერლინი ვიქნები, ხვალვე საღამოს წავალ ჩემს დასთან და მოველაპარაკები.

ტრუდა. როგორ? ხვალ? თქვენ წასვლას აპირებთ.

განს. (გადაწყვეტილად) დიახ, მე სრულიად კარგადა ვარ ეხლა.

ტრუდა. მაშ მე დღევანდელ მოველაპარაკები და ყველაფერს გამოვარკვევ.

განს. ძალიან კარგი. მაშ ხვალ თქვენი გადაწყვეტილება მეტოღონება.

ტრუდა. გეტოღონებათ.

განს. შემდეგ შემატყობინებთ თქვენი მოსვლის დღე ბერლინში და მე სადგურზედ დავხვდებით.

ტრუდა. მართალია.

განს. რასაკვირველია. იქ კი მგონი თვალებს ვეღარ მოაშორებთ ბერლინს... დიდროვანი სახლები, მრავალი მოსიარულე ხალხი, დიდი განათება...

ტრუდა. ელექტრონული არა?

განს. დიახ, ელექტრონული.

ტრუდა. წარმოიდგინებთ მე ჯერ არ მინახავს ელექტრონული განათება.

განს. რას ამბობთ!

ტრუდა. მხოლოდ კლასში, ფიზიკურის ცდის დროს, ცხოვრებაში არც ერთხელ.

განს. მაშ ბევრს რამეს გაიცვამთ და ისწავლით.

ტრუდა. ეგ ექვს გარეშეა.

განს. (პაუზა) განს შეიძლება სხვაგან კიდევ შეხვდეს ადამიანი ასეთს მივარდნილს ადვილს, ამისთანა გრძელს ქალს, საზღაპრო თემებით? ამის მსგავსი მე არაფერი მინახავს... აი თმა ეგ არის. მგონი ისე გრძელია, რომ ბოლო მიწმადის სწვდება.

ტრუდა. არა, არც ეგრე გრძელია.

განს. იცით, რა უნდა გთხოვოთ? ჩამოიშლიეთ თმა, ძალიან მინდა გავიგო იატაკს შეეხება თუ არა.

ტრუდა. მე... მე...

განს. გთხოვთ.

ტრუდა. (ყოყმანობს. იღებს თემბის დასამაგრებელ ჩხირებს) აი ნახეთ.

განს. დიდებულია, საკვირველია, (თმას ხელს

კიდებს) ნებას მომცემთ? რა სქელი, რბილი და მძიმეა!

ტრუდა. უნდა მოგახსენოთ, რომ უსარგებლო ტვირთია (თმას ისევ თავზედ იხვევს) ამათის წყალობით არც თავია კარგად.

განს. მაშ უსაფუძვლოდ არ ამბობენ, რომ გრძელ თმის ქალები მუდამ მოწყვეტილი არიანო.

ტრუდა. მართალია. გრძელი თმები და განუწყვეტელი ფიქრები... გრძელ თმის ქალები და უსრულებელ ოცნების ბადეს ქსოვენ და შიგ კხვევიან. როგორც ხედავთ გრძელი თმები საექო ღირებულების საუნჯე ყოფილა.

განს. (ხუმრობით) მაშ მაგის მოშორებაც საჭირო ყოფილა.

ტრუდა. (იციხის) მართალია. მაგრამ არც უმადურობა ვარგა. ჩემმა თმებმა ერთხელ სიკვდილს გადამარჩინეს.

განს. როგორ?

ტრუდა. ერთხელ ორმოში ჩავარდი და თმებით ამომათრიეს იქიდან.

განს. ღმერთო?

ტრუდა. აი რა არის გრძელი თმები. სამაგიეროდ ჩემს დეიდას თმა სასიკვდილო იარაღად გამოაღდა.

განს. რა, თავისის თმით ჩამოიხრჩო თავი?

ტრუდა. დიახ. მაგრამ ძალიან გვაგობთ ლაპარაკი განს. ქეშპირტად.

ტრუდა. აი აქედამ დასკვნით როგორია გრძელი განუწყვეტელი ფიქრები. თქვენის დასკვნების დროც არის მგონი.

განს. ეგ მართალია, ცოტა დავიღალე.

ტრუდა. მაშ წადით და მოისვენეთ. თქვენთვის ზეით ყველაფერი მზათ არის.

განს. მივდივარ. მაშასადამე მომხბლავს სიცოცხლეს ტყეში ბოლო ეღება.

ტრუდა. უნდა მოეღოს. რა მშვენიერება იქნება თუ თქვენი და ჩემს მიღებაზედ დაგთანხმდებით. ეხლა მე სრულიად აღარ მესმის, როგორ ვსძლებდი ამდენს ხანს აქა? (გაუწვიდის განს ხელებს, ეხლა კი სხვა ცხოვრებას დაიწყებ. დაიწყებ მუშაობას და ხალხს სარგებლობას მოვუტან.

გამოსვლა მეექვსე.

განს. (ორთავს ხელს დაუქერს, შემოიღის გერლოფ, განს და ტრუდა არ შეკრთებიან) იცით, მე ვამაყობ ჩემის ნაპოვნით ამ მივარდნილს ალაფას. (ტრუდა თვალებს ძირს დახრის გერლოფი ექვის თვალით შეუკრებს). ჩვენ კეთილი მეგობრები ვიქმნებით ერთმანეთისა.

ტრუდა. ვიქნებით. ვიქნებით.
 განს. ეხლა კი წავალ, დავიძინებ. მაშ ხვალამ-
 დის. ღამე მშვიდობისა.
 ტრუდა. ძილი ნებისა.
 განს. გმადლობთ. (გერლოფს) ღამე მშვიდო-
 ბისა.

გერლოფ. (ცივად) ძილი ნებისა.
 განს. ქალბატონო ტრუდა, გთხოვთ მამათქვენს
 ჩემი გულითადი სილაში გადასცეთ ჩემგან.
 ტრუდა. გმადლობთ. (ერთმანეთს თავს უკრავენ
 განსი მიდის, ტრუდა თვალს გააყოლებს).

გერლოფ. თქვენ ძალიან დამეგობრებულხართ.
 ტრუდა. ჰო, ძალიან.
 გერლოფ. ჰო, (თავზედ უჩვენებს) თქვენ ძალი-
 ან გეხებართ ერთი მეორეს, მაგრამ რას იტყვის ამა-
 ზედ ფრანც?

ტრუდა. ეგ ჩემი საქმეა.
 გერლოფ. ოჰო! უკლებ პირიქცა ვამხდარა. აი,
 რას ნიშნავს კეთილშობილი მოპყრობა. ამ ბატონს,
 ამ...

ტრუდა. (აწყვეტინებს) უკაცრავათ. ნუ სჯი იმ
 ადამიანთ, რომლებსაც შენ არა ვესმის რა. ბატონ
 მიანკეს თავი დაანებეთ. (შემოდის ტყის მცველი).

გამოსვლა მუშეაღე.

არენს. ასე (იხდის ქურქს) დღეს ფრანცმა ძა-
 ლიან იმუშავა. ჩვენ ეშმაკის ორბოსთან ვიყავით.
 დღეისათვის კმარა. ფოსტლები.

ტრუდა. (მიაქვს ფოსტლები) მე მინდოდა მო-
 მელაპარაკნა შენთან...

არენს. (იხდის ფესხამელებს) რაო? ძალნო ციუ-
 რნო! ჯერ მიშველე გახდა (ტრუდა შველის) რა
 იყო? რა მოხდა?

ტრუდა. მე შენთან მოლაპარაკება მინდოდა
 ცალკე.

არენს. ოჰო! განა ეგრეა დიდი საქმეა? ჩიბუხი-
 მაინც წავიდა დასაძინებლად?

ტრუდა. (მოაქვს ჩიბუხი და უკიდებს აბედით)
 ჰო, იმან ძალიან მთხოვა შენთვის მოკითხვა
 გადომეცა იმისგან.

არენს. ჰჰი.. (ჩაჯდება სავარძელში და გაკიმაღს
 ფეხებს), აბა.

ტრუდა. ძალო, თუ შეიძლება ერთის წუთით
 მარტონი დაგვტოვეთ.

გერლოფ. (ბუტბუტით) რაც ხანი გადის უფრო
 აუტანელი ხდება აქ ყოფნა (გადის).

ტრუდა. (ყოყმანობს) მამა, შენ გუშინც მით-
 ხარი, რომ არაფერი გაქვს საწინააღმდეგო მე რომ
 საღმე ადგილზედ დავდგე.

არენს. (პირიქცა ბოლს გამოუშვებს) რასაკვირ-
 ველია.

ტრუდა. მე მინდა ეხლა დავდგე..

არენს. ეხლა? შენ ხომ მალე უნდა გათხოვდე
 ხომ არ შეიშალებ?

ტრუდა. გათხოვება ჯერ შორს არის, ერთი
 წელიწადი მიინც გაივლის მანამდის. მამა, შენ კარ-
 გათ იცი, როგორ მინდა მუშაობა, მოქმედება...

არენს. სამუშაო აქაც ბევრია, თუ იმუშავებ.
 ბოსტენულობაც ხომ ვერ მოვიყვანეთ?

ტრუდა. მამა, შენ თვითონ არ ამბობდი, რომ
 გზების უვარგისობის გამო აქაური შრომა არა ფა-
 სობსო?

არენს. ეგ მართალია, მაგრამ სხვა ტყის მცვე-
 ლები კი ფულს იღებენ...

ტრუდა. იმათ თქვენზედ მეტი ნიჭი და უნარი
 ჰქონიათ ვაქრობისა.

არენს. ალბათ ეგრეა. საქმე რომ ცოტა სხვა
 ნაირად ყოფილიყო მაშინ ამ მეგზავზე ძალუასაც თა-
 ვიდა მმოვიშორებდით. მაშ, შენ ადგილზედ დად-
 გობა გინდა? რათა, რათ გინდა? საცხოვრებლად?

ტრუდა. სხვათა შორის ამისთვისაც. შენ საქმაო
 ბევრი ფული დავებარჯა ჩემს სწავლაზედ.

არენს. მართალია ბევრი დამებარჯა და ვალიც
 დამეღო, მაგრამ პატივცემუთ მეგზავზე ძალუამ და-
 ვიხინდა გაქირვებისაგან სამაგიეროთ მას მერე კი-
 სერზედ გვაზის და სისხლს გვწოვს...

ტრუდა. მე რომ მოვახერხო და მას ფულები
 დაუბრუნო?

არენს. ეშმაკმა წაიღოს! მაშინ შესაძლებელი
 გახდება ამ ქოფაკი ბებრის თავიდა მოშორება.
 ძალნო ციურნო! სწორეთ სასიამოვნო მოვლენა
 იქნებოდა ეგ. მაგრამ ვწუხ, რომ ეგრეთი კარგი
 აზრი ასე გვიან მოგივიდა თავში. დღევანდელი შე-
 ნი მდგომარეობა ისეთია, რომ შენი სურვილი გა-
 ნუხორციელდებელ სურვილად დარჩება. შენი დანი-
 შნული ხარ.

ტრუდა. მამა, ნუ თუ დანიშვნა და მონობა
 ერთი და იგივეა?

არენს. სისულელეა! რა თქმა უნდა არა! მაგ-
 რამ ეხლა შენის ბედის გამოკვერვაში სხვასაც უნდა
 ეკითხებოდე.

ტრუდა. შენ ეგ გუშინაც მითხარი... მაშასა-
 დამე მხოლოდ თქვენ ორს, შენ და იმას შეგიძლი-
 ანთ განავით ჩემი ბედი.

არენს. შენის შეხედულებით ეს ასე არ უნდა
 იყოს?

ტრუდა. არა, მე მაგაზედ არ გეჩხუბებით. ფრან-
 ცსაც მოველაპარაკებო მერე... ეხლა კი მინდა გთხო-

ვო შენ, დიდი ხანია მაინც შენთვის არაფერი მი-
თხოვია...

არქანს. მერე რა არის მავაში კარგი?, რატომ
არა მთხოვდი?

ტრუდა. არა გთხოვდი იმიტომ, რომ სათხო-
ვარი არა მქონდა რა... შენც კეთილის გულის
წყალობით მე ყველაფერი მქონდა, რაც კი აქცხო-
ვრებისათვის საჭირო არის. ეხლა ვი გთხოვ მომცე
ის რასაც მე ყველაზე მეტად ვსაჭიროებ და ურომ-
ლისოდაც ხნობრივ დავმახინჯდები და მოვკვდები.
მომეცით მე საშუალება ენახო ცხოვრება. მომეცი
მე ნება ვისწავლო და ვიმუშავო. და როდესაც აქ,
დავბრუნდები სრულიად სხვა ვიქნები. ასეთი უსი-
ცოცხლო და უხალისო აღარ ვიქნები და შენც მეტს
მზიარულებას და სიცოცხლეს გაგაძინებინებ.

არქანს. შენ ისეთის გატაცებით და მღელვარე-
ვით ლაპარაკობ თითქოს გარკვეული გზა გქონდეს
ცხოვრებაში. ან იქნებე ყველა ეს სასიამოვნო ოც-
ნება მხოლოდ?

ტრუდა. დიახ, მამა, მე ცოტა რამ მაქვს მხე-
დველობაში ბატონ მაინკეს და...

არქანს. რაო? როგორაო?

ტრუდა. იმას ბერლინში საბავშვო სკოლა აქვს
და ბევრი ნაწილებიც ყავს...

არქანს. მმ... შენ იცნობ იმას?

ტრუდა. არა, მაგრამ ბ. მაინკემ გადმოცა.

არქანს. (დამშვიდებით) უწინარეს ყოვლისა სა-
ჭიროა ცნობები შეგვიბოძო.

ტრუდა. მამა, შენ ხომ არ ფიქრობ...

არქანს. რომ მაინკემ მოაქორა? არა მაგრამ რაც
მართალია-მართალია, მაშასადამე თქვენ ამხედ მო-
ილაპარაკეთ? ტრუდა, მე მინდა ერთი რამე გკით-
ხო. მხოლოდ გულახდილად მიპასუხე. ის არის მი-
ზეზი შენის გადაწყვეტილებისა აქედამ წასვლის შე-
სახებ?

ტრუდა. (შეკრთომის მალავს) ის... მიზეზი?..
იმან მხოლოდ ადგილის შესახებ დამამედა, შემ-
დეგ... მისმა საღამო შეხედულებამ და მისწრაფებამ
გამომაცოცხლა. შენ კარგად იცი რომ იმ გვარი
მისწრაფება ყოველთვის მიწინაა მგეც...

არქანს. კმარა ჩვენ, მე გგონია, ერთმანეთისა
არა გვემის რა, მითხარი: მაინკეს თან როცა ბაა-
სობდი დავაიწყებდი განა, რომ შენ დანიშნული ხარ
და საქმრო გყავს?

ტრუდა. (შემკრთალის და ადღეუბების კი-
ლოთი) არა, არა, მამა! მე ეგ არ დამეწყებია.

არქანს. (მტკიცეთ) შენ ეშვები ხომ არ შეგიჯ-
და თავში და აქედამ წასულა მაინკეს გულისათვის
ხომ არ გადასწყვიტე?

ტრუდა. იმის გულისათვის? (გაბედვით) არა,
არა. (არენსი ხანგრძლივ ცქერას ვეღარ გაუძლებს
და მობრუნდება).

არქანს. კარგი. ეხლა მოლაპარაკებაც შეიძლება.
შენ აქ თავს უბედურათ გრძნობ?

ტრუდა. (ყოყმანის შემდეგ) დიახ, მამა.

არქანს. აქ გაუგებარი არაფერია. საქმე არა
გაქვს რა და სიამოვნება კიდევ უფრო ნაკლები...
მე ბებერი ყბედი...

ტრუდა. ეგ არ არის...

არქანს. გაჩერდი. ჩვენ ჩვენებურათ მაინც გვიყ-
ვარს ერთმანეთი. აქ კიდევ ეს ბებერი ძალუა იდგა!
ტრუდა, აი ეგ რომ როგორმე მოვიშოროთ, მაშინ
კი (ტრუდის დაწმარუნებას). არსებითად რომ შეგხე-
ლოთ საქმეს შენი დანიშნა არ უნდა იყვეს შენი
წასვლის ხელშემშლელი პირობა...

ტრუდა. მართალია, მამა, არა?

არქანს. თქვენთვის, დანიშნულებისათვის, სასარ-
გებლოც იქნება ღრობით განშორება. მაშასადამე
თუ კარგი და სა-შედო ადგილი გამოგჩინდება და
შენც მოინდომებ, ჩემის მხრივ დაბრკოლება არ
იქნება.

ტრუდა. გამდლობთ, მამა, გამდლობთ.

არქანს. ეხლა ერთი რამე არი საჭირო. შენს
დანიშნულსაც უნდა ქონდეს ამ საკითხში ხმის უფ-
ლება. მე არ მიწინაა რომ თქვენს შორის უთანხმო-
ება ჩამოვარდეს. თქვენ შორის ხომ ყველაფერი ძვე-
ლებურადაა.

ტრუდა. (თვალებს აარიდებს, თავს უქნევს) რა-
საკვირველია, რასაკვირველია.

არქანს. კარგი. მაშასადამე ჩემის მხრივ დაბრკო-
ლება არ არის. თუ ისიც დგთანხმდება, წადი,
ღმერთმა გიშველოს, არა ისიც შეგიძლია იმასაც
გაელაპარაკო.

გამოსულა შეუიდე.

ფრანკ. (შემოდის მოღუშული).

არქანს. ტრუდას შენთან მოლაპარაკება სურს
(ტრუდას) უთხარი...

ტრუდა. მე... მე მამას მოველაპარაკე...

ფრანკ. (მკვახედ) ვხედავ.

არქანს. (შემბრკელის კილოთი) ცოტა რბილად.

ტრუდა. შენ ბევრჯერ გაგიგონია ჩემგან, რომ
სწავლა მწუდიან...

ფრანკ. რა საჭიროა? ჩემის აზრით შენ საქმა-
რისი სწავლა გაქვს მიღებული.

ტრუდა. ჩემის აზრით კი არა, ეს შეგნება მე
უბედურად დამიანათ მხდის და ვიტანჯები ხოლო ჩე-
მის ტანჯვით მგონი შენც უნდა იტანჯებოდე.

ფრანც. დამაცადე მე გაგანთავისუფლებ შენ ამ ტანჯვისაგან.

ტრუდა. ჩემი განთავისუფლება ამ ტანჯვისაგან მხოლოდ ერთს საშუალებას შეუძლია.

ფრანც. სახელდობრ?

ტრუდა. ჩემთვის საჭიროა გარკვეული მოქმედება. მუშაობა. მე მინდა ადგილზედ დავდგე.

ფრანც. ადგილზედ დადგე? ძალიან კარგი. რა თქმა უნდა შენ ისე შეხვალ ადგილზედ, რომ მე არც კი დამეკითხები, ვითომ არც კი ვარსებობდე ან თუ გგონია რომ ჩემი მოვალეობა მხოლოდ თავი დაიკნინო თანხმობის ნიშნად.

აჩუნს. წყნარათ. ნუ ღელავ. აი ეხლა გეკითხებიან: თანახმა ხარ თუ არა?

ფრანც. ჩემის საცოლის ამ გვარ სისულელეზედ არა და ათასჯერ არა. შენ ჩემი დანიშნული ხარ თუ არა?

ტრუდა. ვარ, ფრანც...

ფრანც. კარგი. რახან ეგრეა მე არა მსურს, რომ ჩემი საცოლე სხვა და სხვა ადგილებზედ დაწინააღმდეგოს და ყველგან ბურძინდინდნ. ეს უკანასკნელი ხელობაა. და თუ შენ ეს გინდოდა წინათვე უნდა გეფიქრა ამაზედ, ეხლა კი გვიან არის. (ხმას უმატებს და აღელვებული) ეხლა შენ მეკუთვნი მე და გააკეთებ იმას, რის გაკეთებაც მე მენდომება... ჩემი ნება და სურვილი—შენი ნება და სურვილი უნდა იყოს! შენ უნდა მე მორჩილებოდე მე. მე კი გეუბნები: შენ აქ დარჩები და საქმე ამითი გათავდება.

აჩუნს. (მაგიდას ხელს დაკრავს) ძაღლი ციურნო! შენ გგონია ვინც ღრიალებს ის პართალია? შენ ასე გსურს? არა ბატონო ჩემო, ჩვენ ეგრე შორს არ წავსულვართ. პირველად მე უნდა მიმიღო მხედველობაში, შემდეგ თუ შენ გგონია, რომ ტრუდა შენი მოახლეა ძალიან სცდებით. რაც შეეხება შენს ლაპარაკს ადგილებზედ წინწალს და ბურძინას ეს სრული სისულელეა. ჩემ ქალს ვერაფერი გაბურძინის და მაგისი აქედამ წასვლის სურვილი არც სიგიჟეა. მაგის სასარგებლოდ ბევრი რამის თქმა შეიძლება. (დადგება, დამშვიდებულის კილოთი) და თუ მე დავთანხმდი შენც შეიძლება დასთანხმდე. შენს დაუთანხმებლივ, რასაკვირველია საქმე არ გათავდება, ამაზედ ლაპარაკი კი მეტოყველაფერი თავის რიგზედ უნდა მიდიოდეს, ამიტომ კი უწინარეს ყოვლისა სიმშვიდეა საჭირო, ეხლა კი თქვენ თვითონ მოილაპარაკეთ და თუ ხათრი გაქვთ საქმე ასე თუ ისე მშვიდობიანათ გათავეთ. ღამე მშვიდობისა, ტრუდა.

ტრუდა. (ჩამოართმევს ხელს) ღამე მშვიდობისა მამა. კიდევ დიდს მადლობას გიძლენი, მამაე! აჩუნს. რისთვის? ღამე მშვიდობისა, ფრანც!

გ. ხანი.

(უმედივი იქნება).

ამონაკუნესი.

სიცოცხლის სხევი ასცილდა საღვარს, ჩანგი დაიმსხვრა... დაენიდა გული, ავმა სატანამ თავს დამხარხარა, სევდამ შეიპყრო ობოლი სული...

სიამოვნების დასწყდენ სიმები, საშვებ-სალაღო დამენთა გემი... სამგლოვიარო დამიკურს ზარი, დათალხულია ჩემი ედემი.

და უსასოთ დავძრწი ეულად, ველარსდ ვპოვე თავ-შესაფარი... აღარ ვლოცულობ... არას ვთხოვ ჴეცას, უკვე დამენგრა რწმენის ტაძარი.

იქ შემომქმედსა არ ესმის კენესა, აქ ცივ-მიწასაც შესსვენ ვერას, მიღამო არე მოუცავს ღუმელს, ცეცხლი ჩაუქრა სამშობლო კერას.

ჩემო მშვენებაე! თუ ჩენი ყოფნა სასტიკ ბურუსით მოიცებოდა, რილასთვის გავინდით... რად არ დიქცა რღვევითვე, რღვევით რაც იქმნებოდა?..

ბ. კელაშვილი.

ქუეციერის წასქესი.

ვინც ჩინებურ ქუნალ-გაზეთებს თვალ-ყურს აღვენებს, უსათუოთ იკის თუ როგორი შეურაცყოფა მოგვაყენა ყველა კავკასიელებს და სხვათა შორის ქართველებს ვილაც გერმანელმა ლორენცმა, რომელმაც რამდენიმე წერილები დასტამბა გახ. „ბერლინერ ტაგებლატ“-ში და ყველა კავკასიელეში ბრინჯაოს ხანის ადამიანებთან დავესახა, კავკასიელთა ენები პირუტყვ ენებთან შეადარა, ქართველი თავადები ქურდებთან აღიარა და ყველა ჩენი ზნე-ჩვეულებანი სასაკლოდ აიგდო და სხვა ამგვარი მარგალიტები შესთავაზა გერმანელ მკითხველებს.

ყველა ამას თავის დროს ჩვენმა გაზეთებმა გასცეს ჯეროვანი პასუხი, მაგრამ სომხის ცნობილი მოღვაწე და „აბოღურ-ტარაზი“-ს რედაქტორი ზ-ნი ტიგრან ნაზარიანი ზემოხსენებულ პასუხის ვაცემით არ დაკმაყოფილდა, არამედ მან, როგორც ინტერნაციონალურ პრესის ბიუროს წარმომადგენელმა, ერთის წერილით მიმართა გერმანულ პრესის კავშირის თავმჯდომარის თანაშემწე შვეიცერს ბერლინში და შეეყოხა მას, თუ რა ზომები მიიღო მან ამგვარი სამარცხვინო გამოლაშქრების წინააღმდეგ და ამავე დროს თვითონ შვეიცერმა რატომ პასუხი არ გასცა ლორენცს, როგორც კარგათ მკოდნე კავკასიელთა, მათ ზენჩეულებასთან გაცნობილი ადამიანი, რომელიც საუკეთესო სცნობს კავკასიელებს და უსათუოდ დარწმუნებულია, რომ ლორენცის წერილები სრულ და სამარცხვინო ცილის წამებას და უსიტყვილო ტყუილს წამოადგენენ.

ბ. ტ. ნაზარიანმა უკვე მიიღო ბ. შვეიცერიდან ამ წერილის პასუხი, რომელიც სწერს, რომ ლორენცის ამ არა საკადრისმა გამოლაშქრებამ ფრიალ კული მოაქედრიღებდა მოახდინა საერთოდ პრესის მოღვაწეებს. ბ. შვეიცერი უმატებს თავის მხრივ, რომ ამგვარი უპურმარყოფილი ადამიანი პასუხის ღირსი არ არის, ვინაიდან მის წერილებს არავითარი გავლენა არ მოუპოვებიათ გერმანულ საზოგადოების შეგნებულ და ყოველგვარ შოვინიზმის მოწინააღმდეგე ნაწილზე. ბ. შვეიცერი ამასთანავე ბოდიშს იხდის გერმანულ პრესის მხრივ, როგორც ამ პრესის კავშირის ოფიციალური წარმომადგენელი, თავიანთ უღირს და უფიც მოამბანავის საზოგადოებრივ გამოლაშქრებისთვის.

ბ. ტ. ნაზარიანი შეგვიპირდა გადმოგვცეს შვეიცერის წერილის სრული თარგმანი, რომელსაც ჩვენ გავაცნობთ ქართველ მკითხველ საზოგადოებას ახლო მომავალში.

სტრემიუხ.

P. S. ეს წერილი უკვე დაწერილი გვქონდა, როდესაც მივიღეთ ბ. ტ. ნაზარიანისგან შვეიცერის წერილის ერთ ერთი ნაწილი, რომელიც აქ მოვგვყავს.

ბ. ტ. ნაზარიან! გულითად მადლობას გიძლენით თქვენ დიდათ პატივცემულთა კოლეგაჲ და საყვარელო მეგობარო თქვენის წერილის გამო, რომელიც დღეს მივიღე და რომელშიაც სწერთ „ბერლინერ-ტაგებლატის“ წერილის შესახებ. ეს წერილი მე გადავიკითხე; და გამოვიტყდებით, წავიკითხე დიდის უკმაყოფილებით.

უდიდესნი არიან თქვენი მთები, რათა კაცმა მოისურვოს უადგილო და ცინივითი აღწერა.

ჩემთვის შეუწყნარებელია, თუ როგორ შეუძლიან კაცს დასწეროს რაიმე იმ ქვეყანაზე, სადაც მხოლოდ ორი დღე დაჰყო.

ხშირად გამოვინათა იმ არა ჩვეულებრივ და ფართო სტუმართ მოყვარეობაზე, რომლითაც ჩვენი ტურისტები დამტკბარან თქვენში ყოველთვის და ახლა მე ძლიერ მადონებს ამგვარი „მადლობა“ მათ მხრივ.

შემდეგში ინტერნაციონალურ პრესის კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწე ურჩევს ზემოხსენებულ კავშირის წევრს და წარმომადგენელს, ბ. ტ. ნაზარიანს არ უპასუხოს ლორენცის წერილს, რადგანაც თვითონ ჰსურს ერთი ფელეტონი მოათავსოს ერთ ერთ გაზეთში და უარჰყოს ყველა სიკრუენი და თვისი აზრი გამოსთქვას ჩვენის ლაპაზი სამშობლოს და მის მცხოვრებელთა შესახებ. მისი ფელეტონი დაიბეჭდება ბერლინში, როდესაც ბ. შვეიცერი მიიღებს ბ. ტ. ნაზარიანისგან დაწერილებითი ცნობებს. გარდა ამისა ბ. ნაზარიანი ურნალ „ტარაზიში“ ამის შესახებ მოათავსებს ვრცელ წერილს, რომელშიც დამნაშავეთ აღიარებს იმ უპაღლეს პირს, რომელმაც ტურისტებს ნიაწოდა ცრუ ცნობები და ქართველ თავადების გამისპინძლებას დასცინა და ივინი ავაზაკებათ აღიარა.

არ.

ისევე შენს თვალებს.

(გუქდენია რ. შ. ხ-ისი ასულს)

გხარობ! — როს გპოვე, არღარად მიმიჩნს დიდი ხნის ძებნა, დიდი მოთმენა; შენის თვალებით ეწვიო ჩემს გულს ზემთაგონება და აღმაფრენა.

შენი თვალების ძალას, იღუმალს დემორჩილა ჩემი გულის თქმა, უსაზღვროთ მიყვარს, თვისკენ მიზიდავს, ვით შავბნელ ღამეს საიშედო ხმა!..

ღამე მრავალი მიჰქრის... მე ვფხიზლობ ვფხიზლობ — ლოცულობს, დაღადებს სული, საყვარელ თვალებს ეშუადრება ჩემი გულის თქმა უკვდავი, სრული!

სტრემიუხ.

წერილი რედაქციის მიმართ.

I.

ამას წინელ კოაპერატიული-მომხმარებელი საზოგადოების „მომავლის“ გამეგობამ მომართა თხოვნით, რომ საზოგადოებისათვის ზნეობრივი დახმარება აღმოემჩინა, ე. ი. ჯერჯერობით ერთი რეკლამა წამეკითხა კოაპერაციის შესახებ, სომხურ ენაზე. სხვა და სხვა მიზეზთა გამო ჯერ ვერც კი მოვასწარი ფრიალ სიმპატიურ ზემოხსენებულ საზოგადოების გამგეობის ამ მცირედი თხოვნის ასრულება, რომ უკვე ბნელი ძაღვები ამხედრდნენ ჩემს წინააღმდეგ, როდესაც გაიგეს ჩემი განზრახვა და სომხური გაზეთი „შშაკის“ ფურცლებზე წაიკითხეს ჩემი წერილები საერთოდ კოაპერაციის შესახებ და კერძოდ ჩემი ის მოწოდებანი, რომელთა საშედეგით მე სომეხ მუშებს ურჩევდი მომხმარებელი საზოგადოება „მომავლის“ წევრად ჩაწერილიყვნენ. ამ ბნელმა ძაღვებმა ბნელ კუთხეებში დაიწყეს ყაყანი და პროვოკაცია. ჩემს წინააღმდეგ ავრცელებდნენ ხმებს, ერთოდნა ჩემი პროპაგანდა „ქართულ“ კოაპერაციის სასარგებლოდ იმის მომასწავებელია, რომ მე მსურს „სომხურ“ მრეწველობის დაღუპვა და „ქართულ“ მრეწველობის აღორძინება და განვითარება, მე ქართველებმა მომისყიდეს და სხ. ექვს გარეშეა, რომ ამგვარ პროვოკაციის წყაროებს მე კარგათ ვიცნობ. ისიც ვიცი თუ რომელ ჯგუფის საქმეა უფიც ძალათა შორის გავრცელებული ეს საზიზღარი ხმები, და ამისათვისაც საჯაროდ ვაცხადებ, რომ ეს ამბები მე არასოდეს არ შემაშინებენ და თუ აქნობამდე მე მთლიანად არ მიეცემულოვარ ჩემთვის სასურველი კოაპერაციის განვითარების საქმეს ჩვენში, ამის შემდეგ მე შთელის ჩემის ენერგიით ვიმოქმედებ ამ საქმისთვის.

დღე, ბნელმა ძაღვებმა იხმაურონ.

არტემიუს.

II.

ბ-ნ ი. კახაბაძეს.

ბ-ნო იოსებო! თქვენი პასუხის წაკითხვის შემდეგ მეტი არა დამჩნენია რა, რომ წინადადება მოგცეთ ჩვენი საქმე სამედიატორო სასამართლომ გაარჩიოს. გასამართლებზე უნდა დაესწრნენ ისინიც, რომლებიც ხელს გვიწყობდნენ თელის გავრცელებაში. დასახელებულ მედიატორები, მხოლოდ ისეთები, რომლებმაც იციან საქმის ვითარება. სასამართლო გამოარკვევს თუ ვინ არის ჩვენში მტყუანმართალი. იმედია პასუხს არ დაწყვენებთ.

სეგ. ხენჩია.

ფოსტა

ქ. ქუთაისი. — ბ-ნ ერისტოს. თქვენი ვრცელი წერილი, რომაქმის ლექციის შესახებ მივაღივთ, გვაკვირს როგორ უღელვებისადა ასეთ უბრალო რამეს. იწერებით: რომაქმის სთქვა: გლენმა ცხენს მითრახი გარაპკრა და „პეროდ“ მიამახაო. მერე რა გასაყვისაა აქ ბანი რომაქმის? განა დინდა ამ იარი სიტუეის გულსითვის ამოდენა ქაღალდის და შელანის წასლენა? რუ თუ არ იცით, რომ ეგ სიტუეები თვით ნიგუმე სთქვა: მის თხზულებასი სწედა. მამ რა შუაშაა აქ რომაქმის?

ბ. ხიდისთავი. — დავითიშვილს,

„ბაღში ვარდი იშლებას
 ცაში ვარსკვლავი ბზინავს
 ტუეში ბუღბუღი ცაღობს
 წეღში თუევი დასტურავს.“

ასე იწეება თქვენი ლექსი. გვინდოდა დაგვებულდნა, მაგრამ ვერ გავიგეთ ვინ გუვთ სხეში, სერბანეს ბაღში მოვალბოე ბუღბუღი და გობასოულში მოცურავე თუევი თუ სხვა ვინმე, გავგავებინეთ და შემდეგ დაებულდავთ.

ხლნი. — აკაკი პლემებისშვილს. „საბრალბო ბესო, ჩქარა ერთხელ დასმუღამით“ არ დაიბეჭდება.

ჩოხატაუჭი. — ი. შანიძეს. „უბედური თუასნის შეილი“ არ დაიბეჭდება. მოთიითხეთ სტამბაში.

საღლა. — ა. კლიდისძერელს. „რა ხითხითებს“ თუმცა კარგ თემსზე დაწერილია, მაგრამ ძლიერ სურსტი ნაწარმოებია. ამიტომ ვერ ვებეჭდვთ.

ელექტრონის სტამბა

„მ რ მ მ ს“

(მუხრანის ქუჩა, № 12).

ლებულობს ყოველგვარ საბეჭდვად საქმეებს: წიგნებს, გაზეთებს, ბლანკებს, აფიშებს, საღარბაზო ბარათებს და სხვ. ქართულ და რუსულ ენებზე. საქმეებს ასრულებს სუფთად და სწრაფად. ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასებში.